სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსი

ბრძანება

N 1.1/ 119

ქ.თბილისი 17. 09.2019 წ.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოსადგენი ანკეტა-კითხვარისა და მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირების შესახებ ინფორმაციის წარმოსადგენი ფორმების დამტკიცებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ანკეტა-კითხვარის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში წარმოდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ" სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2019 წლის 23 აგვისტოს N1.1/108 ბრძანებაში ცვლილების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 55-ე, 57-ე და 63-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის N111/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პირის მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის" მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტებისა და მე-6 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №229/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოსადგენი ანკეტა-კითხვარისა და მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირების შესახებ ინფორმაციის წარმოსადგენი ფორმების დამტკიცებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ანკეტა-კითხვარის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში წარმოდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ**" სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2019 წლის 23 აგვისტოს N1.1/108 ბრძანების მე-3 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „3. **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ანკეტა-კითხვარის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში წარმოდგენის ვადად განისაზღვროს - 2019 წლის 2 სექტემბრიდან - 2019 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით.**".
2. დაევალოს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს ამ ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ვებგვერდზე განთავსების გზით.
3. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინსიტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საფუძველი: სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მენეჯერის უმაღლესი განათლების მიმართულებით - სოფიო უგრეხელიძის 2019 წლის 17 სექტემბრის N1218376 სამსახურებრივი ბარათი.

უფროსი

დიმიტრი ბერიძე